### როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებამ არ გასცა მასზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და ამასთანავე, არ მიიღო გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ

თუ საჯარო დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასცემს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, ითვლება, რომ საჯარო დაწესებულებამ უარი თქვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

### შეუძლია თუ არა მოქალაქეს გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების უარი?

ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში, მოითხოვოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საჯარო დაწესებულებისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის ან ზიანის ანაზღაურების დავალდებულება.

საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდეგ სასამართლოში. ხოლო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს არარსებობის შემთხვევაში სასამართლოში.

მოცემულ დავებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

### განიხილავს თუ არა საქართველოს სახალხო დამცველი მოქალაქეთა განცხადება/საჩივრებს საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით?

საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს მოქალაქეთა/იურიდიულ პირთა განცხადება/საჩივრებს, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით.

### რა სახის სამართლებრივ რეაგირებას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით კონკრეტული მოქალაქის უფლებადარღვევის დადგენის შემთხვევაში?

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კონკრეტულმა საჯარო დაწესებულებამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით დაარღვია მოქალაქის უფლება

- წინადადებით ან რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით;
- წინადადებით მიმართავს საჯარო დაწესებულებას იმ უფლებამოსილ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით არ გასცეს საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაცია და რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია კონკრეტული ადამიანის უფლების დარღვევა.

## დაირღვა თქვენი უფლებები?

## მიმართეთ სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროექტის" ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

Empowered lives.
Resilient nations.

# თქვენ უფლება გაქვთ გაეცნოთ საჯარო ინფორმაციას

საქართველოს
სახალხო
დამცველი

## ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას

### რომელი აქტები უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ?

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონი.

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო აქტები:

1. გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია";
2. გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი;
3. ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია";
4. გაეროს „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის კონვენცია);
5. სხვა.

### რა არის საჯარო ინფორმაცია?

საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში.

საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

### რომელი ორგანოები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებებს?

- ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა);
- ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

### ხელმისაწვდომია თუ არა მოქალაქეთათვის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია?

საქართველოს ყოველ მოქალაქეს მინიჭებული აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

### ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება

- მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად;
- აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს;
- გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს მოქალაქეს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

### როგორ უნდა მიმართოს მოქალაქემ დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის მისაღებად?

საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას.

2013 წლის 1 სექტემბრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

### ვალდებულია თუ არა მოქალაქე წერილობით განცხადებაში მიუთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველი?

საჯარო დაწესებულებისადმი წარდგენილ წერილობით განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

### დადგენილია თუ არა საჯარო ინფორმაციის მისაღებად რაიმე სახის საფასური?

დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.



### რამდენს შეადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი?

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

- A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
- ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
- კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
- დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
- ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;
- ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

### ითვალისწინებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების გამონაკლის შემთხვევებს?

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:

- ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისას;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;
- ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

### რა ვადებია დადგენილი საჯარო დაწესებულებებისთვის საჯარო ინფორმაციის გასაცემად?

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს არა უგვიანეს 10 დღისა და ამის შესახებ განმცხადებელს აცნობოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისთანავე.

### რა ვადაშია საჯარო დაწესებულება ვალდებული უარი უთხრას მოქალაქეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე?

- საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობით განუმარტოს მოქალაქეს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს სახალხო დამცველს
ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: ____________________

გვარი: ____________________

მისამართი: ქალაქი (რაიონი): __________ ქუჩა: __________ №

ტელეფონი: __________ ელ-ფოსტა: __________

## განცხადება

განმცხადებლის ხელმოწერა: ____________________ თარიღი: __________

წელი, თვე, რიცხვი